პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 151 (4661)

1972 წ. 3 აგვისტო, ხუთშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მატჩი მსოფლიო პირველობაზე



„ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა გუცაევმა. მან მინდვრის სიღრმეში წამოწყებული ინდივიდუალური სწრაფი გარღვევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა კარის შორეულ კუთხეში..."

ეს აბზაცი თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" ფეხბურთელთა გუნდების მატჩისადმი მიძღვნილი წერილიდანაა (იხ. მე-3 გვ.) ამოღებული.

ამ სურათზეც სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## მეცხრე პარტია

### სპასკი — ფიშერი

ტარაშის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 d5 4. მc3 c5 5. cd მ:d5 6. e4 მ:c3 7. bc cd 8. cd მc6 9. კc4 b5 10. კd3 კb4+ 11. კd2 კ:d2+ 12. ლ:d2 a6 13. a4 0—0 14. ლc3 კb7 15. ab ab 16. 0—0 ლb6 17. ეfb1 b4 18. ლd2 მ:d4 19. მ:d4 ლ:d4 20. ე:b4 ლd7 21. ლe3 ეfd8 22. ეfb1 ლ:d3 23. ლ:d3 ე:d3 24. ე:b7 g5 25. ეb8+ ე:b8 26. ე:b8+ მფg7 27. f3 ეd2 28. h4 h6 29. hg hg. ყაიმი.

* * *

სპასკიმ ლაზიერის პაიკით დაიწყო თამაში. ფიშერმა ტარაშის დაცვის აქტუალური ვარიანტი აირჩია. საინტერესოა, რომ ამ ვარიანტში თეთრებით სპასკიმ ლამაზად მოუგო პარტია ტ. პეტროსიანს მსოფლიო პირველობაზე 1969 წლის მატჩში. მაგრამ ფიშერმა თავისი მე-9 სვლით შავების თამაში გააძლიერა.

დაძაბული პოზიცია შეიქმნა თეთრების მე-13 სვლის წინ. სპასკის როქის მერე შეეძლო ცენტრი გაემაგრებინა და იერიშისთვის მზადებას შესდგომოდა. მან ლაზიერის ფრთის პაიკებზე შეტევა ამჯობინა. ფიშერმა პოზიცია გაამარტივა და მუქარაც უვნებელყო.

როცა დაფიდან ლაზიერებიც გაქრა, ეტლების საყაიმო ენდშპილი გამოვიდა, ამიტომ მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 5,5:3,5 ფიშერის სასარგებლოდ.

შემდეგი სათამაშო დღეა 3 აგვისტო.



## შვეციის ნაკრებთან სათამაშოდ

**ნოვოგორსკი, 2 აგვისტო.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების წევრები კვლავ ერთად იყრიან თავს, ამჯერად შვეციის ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ. ეს მატჩი მიუნხენის ოლიმპიადის წინ ძალთა კიდევ ერთი შემოწმება იქნება.

მატჩი 6 აგვისტოს გაიმართება შვეციაში. საბჭოთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პონომარიოვმა განაცხადა, რომ სტოკჰოლმში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს გამოცდის და ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტასაც შეეცდება. შვეციიდან დაბრუნებული ფეხბურთელები თავიანთ კლუბებს მიაშურებენ, 14 აგვისტოს კი კვლავ შეიკრიბებიან და ათი დღის შემდეგ მიუნხენის გზას დაადგებიან.

აი, ვინ გაემგზავრება შვეციაში: **მეკარეები** ე. რუდაკოვი („დინამო", კიევი), ვ. ბანიკოვი („ტორპედო"), **მცველები** რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა (ორივე — „დინამო", თბილისი), ი. ისტომინი, ვ. კაპლიჩნი (ორივე — ცსკა), ს. ოლშანსკი, ე. ლოვჩევი (ორივე — „სპარტაკი"), **ნახევარმცველები** ა. ესკოვი (ასკ), ო. დოლმატოვი („დინამო", მოსკოვი), ა. ანდრიასიანი („არარატი"), ა. კუკსოვი, **თავდამსხმელები** გ. სემიონოვი, ი. ელისეევი, ვ. ონიშჩენკო (ყველა — „ზარია"), ო. ბლოხინი („დინამო", კიევი).

საბჭოთა ფეხბურთელების მეტოქეებიც დასახელებული არიან: **მეკარეები** რ. ჰიოლსტრემი, ს.-გ. ლარსონი, **მცველები** კ. ჰულტი, რ. გრიპი, ბ. ანდერსონი, კ. კრისტენსონი, კ. კრონკვისტი, **ნახევარმცველები** ბ. ლარსონი, ი. ფლინკი, ლ. მოლბერგი, ე. პერსონი, **თავდამსხმელები** რ. სანდბერგი, ს. პოლსონი, რ. ედსტრემი, უ. კინდვალი, ა. ალსტრემი.

5 აგვისტოს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და შვეციის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

## საბჭოთა მფრინავთა ვერცხლის ჯილდოები

**სალონ-დე-პროვანსი, 1 აგვისტო.** დღეს აქ დამთავრდა VII მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში. ნოვოსიბირსკელმა ა. პიმენოვმა საერთო ჯამში II ადგილი დაიკავა. მან 17609,4 ქულა დააგროვა. გაიმარჯვა და არესტის ვერცხლის თასი დაისაკუთრა ამერიკელმა მფრინავმა ჩ. ჰილარდმა (17631,9). საპატიო პრიზის უწინდელი მფლობელი, კუიბიშეველი ი. ეგოროვი ამჯერად V ადგილზე დარჩა.

გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მფრინავები II ადგილზე არიან (43485,68 ქულა). გაიმარჯვა აშშ-ს ნაკრებმა — 44469,30. ფინალურ შეჯიბრებაში დაუშვეს მონაწილეთა მესამედი, ის მფრინავები, რომელთაც საუკეთესო შედეგები ჰქონდათ სამ წინასწარ — ორ სავალდებულო (ნაცნობი და უცნობი) და ერთ ნებისმიერ პროგრამაში. ფინალის პროგრამა უმაღლესი პილოტაჟის რთული ფიგურების ნაერთია. მისი შესრულებისთვის 4 წუთია გამოყოფილი (დროის გადამეტებისთვის საჯარიმო ქულები ირიცხება).

პირველობდა ა. პიმენოვი, რომელმაც უზადოდ შეასრულა ფიგურების კასკადი. ეგოროვმა დამსწრეთ უჩვენა ოსტატობა, რომელიც საფრანგეთის გაზეთმა „ეკიპმა" ჩემპიონატის სენსაციად მიიჩნია. „მან შეასრულა უცნობი ილეთი, რომელსაც ჰილარდის საიდუმლო იარაღს ეძახდნენ", — წერს გაზეთი.

ქალებისთვის მხოლოდ პირადი პირველობა მოეწყო. ჩემპიონი გახდა 46 წლის მერი გაფნი — აშშ-ს გუნდის ვეტერანი (17199,8). ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს კალინინელმა ლ. მოროხოვამ (17123,5) და მოსკოველმა ხ. სავიცკაიამ (16603,5). ფინალურ შეჯიბრებაში ქალთა შორის პირველი იყო ტულელი ლ. ლეონოვა, რომელმაც მთელი პროგრამა უზადოდ შეასრულა.

სამწუხაროდ, მსაჯობა ზოგჯერ უხუსტო და აშკარად სუბიექტური იყო.

ი. ბაბაიანცი.
(საკდესის კორ.).

* * *

სურათზე: საბჭოთა ნაკრების წევრები (მარცხნიდან) — სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. სავიცკაია, სპორტის ოსტატი ვ. გოლდობინა, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. ლიზუნოვა, სპორტის ოსტატები ლ. მოჩალინა და ლ. მოროხოვა, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ლეონოვა.

ვ. ხუხლაევის ფოტო.
(საკდესი).

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

## დღის წესრიგშია თბილისის „დინამოს" საკითხი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის სხდომამ გუშინ განიხილა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ზოგიერთი წევრის უდისციპლინობის საკითხი.

დადგინდა, რომ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის ზოგიერთ წევრს შორის არ არსებობს ნორმალური ურთიერთობა, ელემენტარული მეგობრობა, როგორც თვით თამაშის დროს, მინდორზე, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. და, საერთოდ, თავი იჩინა მათს შორის არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ. კიდევ მეტიც: ზოგიერთი ფეხბურთელი თავის პირად ინტერესებს კოლექტივისაზე მაღლა აყენებს, არღვევს როგორც საწვრთნელ, ისე საყოფაცხოვრებო რეჟიმს, არ ასრულებს მწვრთნელთა მითითებებს, რითაც დიდ ზიანს აყენებს მთელს კოლექტივს. სხვა არაფრით შეიძლება აიხსნას გუნდის ბოლო ხანების სერიოზული წარუმატებლობა, თამაშის კლასის დაქვეითება, წაგება მოსკოვის „სპარტაკთან", „ნეფთჩისთან" და „დნეპრთან".

სპორტსმენის სახელს არ შეეფერება საქციელი, რომელიც ჩაიდინა გუნდის კაპიტანმა მ. ხურცილავამ. მან ბაქოში „ნეფთჩისთან" შეხვედრის დამთავრებამდე თვითნებურად დატოვა მინდორი და გასახდელისკენ გაემართა. ასევე შეუფერებლად მოიქცა ვ. ჭელიძე, რომელიც მესამე გოლის შემდეგ მინდორზე წაეჩხუბა ხურცილავას. ამ ორი ფეხბურთელის დავა გასახდელშიც გაგრძელდა, რასაც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა გარკვეული დაღი არ დაემჩნია კოლექტივის საერთო მორალური მდგომარეობისთვის.

გუნდის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო სრულფასოვანი, მონოლითური და მიზანსწრაფული კოლექტივის შექმნა, რაც უზრუნველყოფდა მეგობრულ, თავგამოდებულ თამაშს მინდორზე.

ზემოხსენებულ უმსგავსობათა გამოსწორების მიზნით საქართველოს სპორტკავშირის კოლეგიამ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს წევრებთან ერთად კონკრეტული ღონისძიებანი დასახა.

გუნდის კაპიტანთან უხეშობისთვის ვ. ჭელიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო მ. ხურცილავას, რომელმაც კაპიტნისთვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა — აგრეთვე სასტიკი საყვედური.

შემჩნეულია, რომ ფ. რეხვიაშვილი სისტემატურად არღვევს სპორტულ რეჟიმს, ამიტომ მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური და გაფრთხილებული იქნა, რომ დისციპლინის პატარა დარღვევის შემთხვევაშიც კი გაირიცხება თბილისის „დინამოდან" და დისკვალიფიკაციას მიიღებს.

მკაცრადაა გაფრთხილებული კ. ასათიანიც, რომელმაც უტაქტობა გამოიჩინა გუნდის სხვა წევრების მიმართ და არასერიოზულად, ზერელედ ეკიდება ტრავმის მკურნალობას.

გუნდის ხელმძღვანელობას დაევალა ყველა ზომას მიმართოს კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებისთვის, საამისოდ გაშალოს შეაფერისი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. გუნდის უფროსის, ექიმის, აგრეთვე, № 1 ფიზკულტურის დისპანსერის ხელმძღვანელობის პირადი პასუხისმგებლობით უნდა განხორციელდეს ყველა ზომა, რათა დაჩქარდეს ფეხბურთელთა მკურნალობა თანამედროვე დონეზე. მკაცრად დაისაჯოს ყველა ფეხბურთელი, ვინც საკუთარ თავს უფლებას მისცემს თუნდაც უმნიშვნელოდ დაარღვიოს მაქსიმალურ საწვრთნელ დატვირთვათა პროცესი, სათამაშო რეჟიმი და ა. შ.

„დინამოს" ხელმძღვანელობას მითითება მიეცა საგანგებო ყურადღება გაამახვილოს გუნდში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობაზე და უმოკლეს ხანში დაამყაროს სრული წესრიგი.

საქართველოს სპორტკავშირის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ნ. ახალკაცს და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარეს გ. პაქანიძეს დაევალათ სისტემატური დახმარება გაუწიონ გუნდის ხელმძღვანელობას ყველა საკითხში, მნიშვნელოვან საკითხში და კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში

# ყველა კარგმა აქ მოიყარა თავი

გუშინ თბილისში, „ლოკომოტივის“ აუზში დაიწყო სსრ კავშირის მოცურავეთა 43-ე ჩემპიონატი — გენერალური რეპეტიცია მიუნხენის ოლიმპიადის წინ.

ტურნირი ორ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, ძირითადად წინასწარ და მეოთხედფინალურ შეჯიბრებებს ეთმობა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს სპორტსმენები მხოლოდ 400, 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაითამაშებენ.

თბილისში გამართული წინასწარი ტურნირები 16-16 საუკეთესოს შეარჩევს მეოთხედფინალებისთვის, მეოთხედფინალები კი 100 მეტრზე ყველა სტილით ცურვაში დაასახელებს 12-12 საუკეთესოს, რომლებიც 13-15 აგვისტოს მოსკოვში ნახევარფინალურ შეჯიბრებებში ჩაებმებიან. შემდეგ 8-8 საუკეთესო ფინალურ ტურნირებში მედლებისა და მიუნხენის ოლიმპიადის საგზურებისთვის იბრძოლებს.

რაც შეეხება 200-მეტრიან დისტანციას, აქ თბილისშივე გაირკვევა ფინალისტთა ვინაობა.

შეჯიბრებებისადმი ინტერესს ისიც ზრდის, რომ ფინალურ ტურნირებში მონაწილე სპორტსმენები პარალელურ ჩათვლებს აძლევენ თავიანთ რესპუბლიკებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, უწყებებს, აუზებს (სადაც ძირითადად ვარჯიშობენ), იმ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც სწავლობენ, სპორტულ კლუბებს.

თბილისს ეწვია სსრ კავშირის ყველა უძლიერესი მოცურავე, რომელთა შორის არიან XVIII ოლიმპიადის ჩემპიონი გ. სტეპანოვა, მსოფლიო რეკორდსმენი ნ. პანკინი, ევროპის რეკორდსმენი ნ. პეტროვა, მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორები ვ. კოსინსკი, ს. ბელიც-გეიმანი, ვ. მაზანოვი, გ. კულიკოვი, ლ. ილიჩოვი, ვ. ბურე. აქ ასპარეზობენ თბილისელებიც — სსრ კავშირის ჩემპიონები თ. ლეკვეიშვილი, ი. ლისეცკი...

გუშინ დილით გაიმართა წინასწარი შეჯიბრებები 100 მეტრზე ბრასით, ბატერფლაით და გულაღმა ცურვაში, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ბრასით მოცურავე ქალთა შორის ყველაზე [illegible] (1.17,6) აჩვენა მოსკოველმა გ. სტეპანოვამ (შეიარაღებული ძალები). ვაჟებში დაწინაურდა ნ. პანკინი (მოსკოვი, „ლოკომოტივი“) — 1.07,8.

ქალთა შორის ბატერფლაით ცურვაში ლვოველმა ვ. ვასკევიჩმა (ასკ) 1.09,2 აჩვენა, ვაჟთა შორის წინაა ე. სპირიდონოვი (ლენინგრადი, „ლოკომოტივი“) — 1 წუთი. გულაღმა მოცურავე ქალებში ლეკვეიშვილმა ყველაზე კარგი შედეგი მოიპოვა — 1.09,3.

თბილისში ტურნირი 6 აგვისტოს დამთავრდება. შეჯიბრებები ყოველდღე 11 და 18 საათზე იწყება.

რ. მაღრაძე.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

### სტადიონს სტუდენტები აშენებენ

სპორტული მშენებლობა დღეს ყაზახეთის თითქმის ყველა კუთხეში შეგხვდებათ. სტუდენტთა რაზმებისთვის დაიწყო „შრომითი სემესტრი -72“. რესპუბლიკის სოფლებსა და აულებში მომუშავე სტუდენტთა რაზმებმა მოაწყვეს ათობით სპორტული მოედანი, ადგილობრივ კომკავშირელებთან ერთად აშენებენ სტადიონებს, სპორტულ დარბაზებს.

ყველაზე დიდი მშენებლობაა „მედეოს“ ყინულის სტადიონი, მაღალმთიანი სპორტული კომპლექსის პირველი რიგი ზაილიის ალათაუში. ეს ყინულის მოედანი ყველაზე დიდი იქნება საბჭოთა კავშირში — 12500 კვადრატული მეტრი.

კეთდება ტრიბუნები, ავტოსადგომი, გარშემო გორაკებზე ეწყობა საცქერი მოედნები, რომელთაც აპროექტებს არქიტექტორთა ჯგუფი ყაზახეთის დამსახურებული არქიტექტორის ვ. კაცევის ხელმძღვანელობით.

მოხნატაიას მთის გასამაგრებელ სპეციალურ სამუშაოებს ასრულებენ ალმა-ათის, უსტ-კამენოგორსკისა და სხვა ქალაქების წარგზავნილი მშენებელი სტუდენტები, აგრეთვე, მთამსვლელთა ჯგუფი. ისინი სპორტული კომპლექსის თავზე აღმართულ მთაზე ზვავისგან დამცველ ნაგებობებს გააკეთებენ. ყაზახეთის სტუდენტური სამშენებლო რაზმის შტაბი მედეოში ალმა-ათიდან ახალ შევსებას გზავნის — ორასამდე ჭაბუკსა და ქალიშვილს.

ალმა-ათა.

### ფიზკულტურის დღესასწაული

ფიზკულტურელის საკავშირო დღე — 12 აგვისტო და ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის დღე — 26 აგვისტო ფიზკულტურის ჭეშმარიტი დღესასწაული იქნება. მთელს საბჭოთა კავშირში ჩატარდება მასობრივი შეჯიბრებები, სპარტაკიადები, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების ჩაბარების დათვალიერება-კონკურსები. ასე გადაწყდა 31 ივლისს ახალი კომპლექსის საკავშირო საბჭოს სხდომაზე.

უკრაინაში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის დასანერგად გაწეულ მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა კომპლექსის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი ა. ნედბაილო. მან დამსწრეთ აცნობა, რომ მზდ კომპლექსმა რესპუბლიკაში ბევრი სპორტული მშენებლობა წამოიწყო. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო ბევრია მაგალითად, ქალაქ ჩერნოვცის ზოგიერთ სკოლაში ბავშვებთან სათანადოდ ვერ მუშაობენ, სიმფეროპოლში „ლოკომოტივის“ სტადიონი მზადაა სტუმრების მისაღებად, მაგრამ ხალხი ნაკლებად დადის.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის მოსკოველმა პროპაგანდისტებმა ქალაქის მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურის განვითარების ახალი ფორმები მოძებნეს. იქ უკვე ტარდება მონათესავე საწარმოთა საამქროებისა და განყოფილებების ტურნირები, შეჯიბრებები ყველაზე სპორტული სახლის, სადარბაზოს, ოჯახის სახელისთვის.

წინასწარი მონაცემებით მარტო წლეულს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივები 5 მილიონამდე მშრომელმა უნდა ჩააბაროს. სწორედ ამდენ სამკერდე ნიშანს გამოუშვებს მოსკოვის ოქხი ქარხანა. ფიზკულტურელის დღისთვის ჯილდოები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში დაიგზავნება.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და სასწავლებლების სამმართველოს უფროსმა ი. პორტნოვმა განაცხადა, რომ სპორტული სასწავლებლების პროგრამაში შეტანილია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის საათები, გამოვიდა საგანგებო ბროშურები, რომლებიც მწვრთნელ-მეთოდისტებს ახალი კომპლექსის ნორმატივების მომზადებაში დაეხმარება.

სხდომამ მიიღო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ფიზკულტურული კომპლექსის საკავშირო საბჭოს მომავალი ექვსი თვის სამუშაო გეგმა.

მოსკოვი.

## სპორტული ლანჩხუთი

დამთავრდა სოფლის სკოლების ასპარეზობა მძლეოსნობაში. რაიონის 26 საშუალო და რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის კოლექტივების წარმომადგენლები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ რბენაში, ტყორცნასა და ხტომაში. 316 ქულით საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს მაჩხვარეთის რვაწლიანი სკოლის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდა შუხუთის საშუალო სკოლის გუნდი (211 ქულა), III — გულიანის რვაწლიანი სკოლის კოლექტივი.

• • •

ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი რ. გუჯაბიძე) ფიზკულტურის კოლექტივის საბჭომ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. ახლა აქ სათანადო ყურადღება ექცევა ბაზების კეთილმოწყობასა და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების ჩატარებას. ამას წინათ გაიმართა პირველობა ჭადრაკში. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მეურნეობის აპარატის წარმომადგენლებს დარჩათ. ქალთა პირად პირველობაში ყველას აჯობა ე. გურგენიძემ. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ჯ. ახალაიამ.

• • •

გაიმართა ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის შიდასაკოლექტივო პირველობები მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. ვაჟთა საჭადრაკო ტურნირში უძლიერესი იყო მე-3 აგროგანყოფილების უფროსი შ. სარიშვილი. ვაჟებს შორის მაგიდის ჩოგბურთში პირველობა დაისაკუთრა ჯ. ჩაგანავამ, ქალებში — თ. მიქელაშვილმა.

• • •

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამაში მძლეოსნობა, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი შედიოდა. ფრენბურთში ჩემპიონები გახდნენ ქვემო ჩიბათის წარმომადგენლები. სხვა სახეობებში პირველობა არავის დაუთმეს ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა. საერთო გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, შუხუთი, ჩიბათი.

ი. ებრალიძე.
(ჩვენი კორ.).

## მასპინძლობა აზმეტურად

— სტუმარი ღვთისაა, — უთქვამს ქართველ კაცს და გულუხვი მასპინძლობაც გაუწევია სტუმრად მოსული ახლობელი თუ უცხო პირისთვის.

— სტუმარი მასპინძლის ლხინია, — ბევრჯერ გვსმენია და ჩვენში ოდითგანვე დაკანონებული სტუმართმოყვარეობა მთებს, ზღვებსა და ოკეანეებს გასცდენია, ჩვენთვის ჩვეულ და სხვებისთვის უჩვეულო ჩვევას საქვეყნო აღიარება მოუპოვებია.

ქართველ კაცს ისიც უთქვამს: სტუმარი მასპინძლის ვირია, სადაც დააბამს, უნდა დაჰყვესო. ეს უძველესი ქართული ანდაზა ამას წინათ საქართველოს ერთ-ერთ რაიონულ ცენტრში მომხდარმა ამბავმა გაგვახსენა.

იმ დღეს ახმეტაში ნამდვილი სპორტული დღე გახლდათ. ჯერ იყო და ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდი „ბახტრიონი“ მასპინძლობდა ცხინვალის „ავტომობილისტს“, ცოტა მოგვიანებით კი ცენტრალური ტელევიზია ფეხბურთის მოყვარულებს სთავაზობდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის რეპორტაჟს ბრიუსელიდან.

საქართველოს პირველობაზე გამართული მატჩის საყურებლად თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სტადიონისკენ იწყეს სვლა სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებმა იმ ვარაუდით, რომ შეხვედრის დამთავრებისთანავე ტელეეკრანებს მისჯდომოდნენ.

ახმეტის სტადიონის ტრიბუნები გაივსო მატჩის მოლოდინში. საყოველთაო სიმყუდროვეში ერთ-ერთი ტრიბუნიდან ვიღაცამ რეპლიკა ისროლა:

— დღეს ალბათ არც აუტი იქნება, არც პენალტი და არც კუთხური.

ამ აღმოჩენის ავტორს ახლო მყოფმა მაყურებლებმა გაკვირვებით გადახედეს.

— რატომ გიკვირთ? გადახედეთ მინდორს. ხედავთ, დაუხაზავია. არც საჯარიმოს ხაზები ჩანს, არც სარბიელისა, არც პენალტის წერტილი.

მართლაც ასე იყო. სტადიონის დირექციას მხედველობიდან გამორჩენია ეს „უბრალო“ ამბავი. როცა მატჩის მსაჯმა დაუხაზავ მინდორზე მატჩის ჩატარებაზე უარი თქვა, გაუკვირდათ კიდეც, იფიქრეს, ეს რა ახირებული მსაჯიაო. არბიტრი სიტყვის კაცი გამოდგა და მაყურებლის თვალწინ დაიწყეს სათამაშო მინდვრის მოწესრიგება. გავიდა 10, 20, 30 წუთი, ერთ საათზე მეტი, და, როგორც იქნა, თამაში დაიწყო.

იმას ვერ ვიტყვით, რომ მატჩი სანახაობრივად საინტერესო იყო, არა. მეტოქეები თითქოს ვალს იხდიანო, ისე დასეირნობდნენ მინდორზე, ურტყამდნენ კარისკენ და არა კარში, ყოველი ბურთისთვის იბრძოდნენ ტანით, წიხლებით, მუჯლუგუნით. ბურთიც რომ გაჯიუტდა! არა და არ უნდოდა არც ერთი მეტოქის კარში გასვლა, თუმცა მას ვინ ეკითხებოდა, ერთი ზუსტი დარტყმა და მორჩილად შეარხევდა კარის ბადეს. მართლაც, შეირხა ბადე, ბადე ახმეტელთა კარისა.

პირველი ტაიმი ამ მინიმალური ანგარიშით დამთავრდა. მეტოქეები გასახდელისკენ წავიდნენ, მაყურებელიც წამოიშალა, სადაცაა უნდა დაწყებულიყო გერ — სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ფინალური მატჩის რეპორტაჟი.

10-წუთიანი შესვენების შემდეგ ნსაჯმა კვლავ იხმო სათამაშოდ გუნდები. ცხინვალელები უკლებლივ გამოვიდნენ მინდორზე, ახმეტელები კი... არ ჩანდნენ. მსაჯმაც და სტუმრებმაც ბევრი იცადეს, მაგრამ მასპინძლები არ გამოსულან. ცდაში გავიდა 10, 15, 20 წუთი. ვიღაც აფრინეს გასახდელში, მაგრამ იგი ხელცარიელი დაბრუნდა, კაცის ჭაჭანება არაა.

სტუმრებსაც და მსაჯსაც მოსწყინდათ მასპინძლების ლოდინი და დატოვეს დაცარიელებული სტადიონი. ერთ-ერთ ტრიბუნას ოთხი კაცი შემორჩენოდა, ალბათ ახმეტის გუნდის განსაკუთრებული გულშემატკივრები იყვნენ. მასპინძლების გაუჩინარების ამბავი მათაც რომ შეიტყვეს, ერთ-ერთმა ხმამაღლა წამოიძახა:

— ჩვენს გუნდს „ბახტრიონი“ კი არა „ლაჩრიონი“ უნდა ერქვას.

როცა ამ დაუსრულებელი მატჩის მსაჯი ოქმს ავსებდა და გაკვირვებული ცხინვალელი ფეხბურთელები სპორტულ ტანსაცმელს იხდიდნენ, ამ დროს მასპინძლები — ბახტრიონელები ტელეეკრანთან მოკალათებულიყვნენ და ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩის ცქერით ტკბებოდნენ.

ჯ. ზურაბაული.

## გმირისა და ექს-ჩემპიონის თასებზე

კიროვაბადში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გმირის ი. მამედოვის სახელობის პრიზის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ადგილობრივ სპორტსმენთა გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ სუმგაითის, რუსთავის, პიატიგორსკის, სამარყანდისა და სხვა ქალაქების სპორტსმენები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა. რუსთაველი მოჭიდავეები II ადგილზე გავიდნენ. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ გ. ლობჟანიძე, რ. ნაცვლიშვილი და თ. კობახიძე, ხოლო II საპრიზო ადგილები დაიკავეს კ. დიასამიძემ, გ. ტოტელაშვილმა და გ. მაჭარაშვილმა.

გაიმართა „კლასიკოსთა“ ტურნირიც მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ა. ტერიანის სახელობის თასზე. რუსთაველთაგან გაიმარჯვეს თ. ნოზაძემ, ვ. წოწოლაშვილმა და ო. ცუხიშვილმა.

რ. ბაბრიშვილი.

## [illegible]-72

● ლენინგრადი, 1 აგვისტო. აქ გრძელდება რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე ქალთა VII საერთაშორისო ტურნირი. 4 ტურის შემდეგ დაწინაურდა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — 4 ქულა. ლიდერს კვალში მიჰყვებიან რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი) და ა. ეპშტეინი (გორკი) — 3-3.

## კიდევ ერთი „ცირკი“?

სტოკჰოლმი, 1 აგვისტო. დღეს შვეციის გაზეთები სენსაციური სათაურებით ბეჭდავენ ცნობას, რომ ვიღაც უცნობმა საქმოსნებმა გადაწყვიტეს მსოფლიოს საუკეთესო მოციგურავეები იყიდონ. მათ სურთ შექმნან დასი, რომელიც სტადიონებზე გამოვა მაყურებლების წინაშე (პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსგავსად). ვარაუდით, ამ დასში უნდა შევიდნენ ჰოლანდიელი, ნორვეგიელი და შვედი მოციგურავეები.

4 აგვისტოს სტოკჰოლმში უნდა შედგეს პრეს-კონფერენცია, რომელიც იმსჯელებს სპორტის ბიზნესმენთა მორიგი თინის დეტალებზე.

გაზეთებს მოჰყავთ მოციგურავეთა საერთაშორისო და შვეციის კავშირების ცნობილი მოღვაწის ს. ლოფტმანის სიტყვები, რომ ახალი „ცირკის“ შექმნას საქმოსნები ვერ მოახერხებენ. თუ ეს იდეა განხორციელდა, მსოფლიო საციგურაო სპორტი ძალიან დაზარალდება.

გაზეთები ასევე აქვეყნებენ ოფიციალურ ცნობებს, რომ კანადელი ბილ ჰარისი ამიერიდან აღარ იმუშავებს შვეციის ჰოკეისტთა ნაკრების მწვრთნელად. მომავალი სეზონისთვის დადებული ხელშეკრულება იმიტომ ჩაიშალა, რომ კანადის კლუბს არ უნდოდა ჰარისს გადასახადები ეხადა შვეციაში.



# რეაბილიტაცია!..

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 1 აგვისტო.
„დინამო“ (თბილისი)—„არარატი“ (ერევანი) 2:1 (1:0).
„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მჭედლიშვილი, პეტრიაშვილი, გუცაევი (გ. ნოდია), რეხვიაშვილი, ყიფიანი.
„არარატი“: ა. აბრამიანი, არუთინიანი, ფ. აბრამიანი, კოვალენკო, მესროპიანი, ანდრიასიანი, ბონდარენკო (პეტროსიანი), იშტოიანი, მარქაროვი, ზანაზანიანი, კაზარიანი (მარტიროსიანი).
მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).
დუბლიორები — 2:1 „დინამოს“ სასარგებლოდ.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო 1 აგვისტოს მატჩის მნიშვნელობა თბილისის „დინამოსთვის“. რომ არაფერი ვთქვათ იმ წმინდა პრინციპულ მეტოქეობაზე, რომელიც ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ჩვენს გუნდსა და „არარატს“ შორის, საქმე უპირველეს ყოვლისა ეხებოდა სატურნირო მდგომარეობას. ხანგრძლივი, მძიმე წარუმატებლობის შემდეგ, რაც დინამოელებმა განიცადეს ბოლო ხუთ ტურში (2 ქულა 10-დან), მათ VI ადგილზე ჩამოინაცვლეს. ბოლოს და ბოლოს ისე წავიდა საქმე, რომ, თუ ეს ტურიც წარუმატებელი გამოდგებოდა, „დინამოს“ ერთბაშად ეწეოდა ან უსწრებდა 3-4 გუნდი, ესე იგი, მდგომარეობა კატასტროფული ხდებოდა.

ეს თავისთავად. მაგრამ თავი დავანებოთ სატურნირო ცხრილს, რომელიც ცვალებადია და შუა სეზონში ყოველთვის იძლევა სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობას. თბილისისა და ერევნის ფეხბურთელთა შეხვედრები მუდამ უკიდურესად დაძაბულად, მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობს, გულშემატკივართა დიდ ინტერესსაც იწვევს და ხშირად ისეთი კურიოზული, ურთიერთსაწინააღმდეგო ანგარიშებითაც მთავრდება, რომ მათი ახსნა ლოგიკური სპორტული თვალსაზრისით თითქმის შეუძლებელი ხდება: ჯერ ერთი მხარე იგებს ანგარიშით 7:4, შემდეგ მეორე — 5:1, ან ცხრილში იწერება 5:0 და 0:4. ერთი სიტყვით, ამ ორი გუნდის ურთიერთობაში ბევრი რამაა საინტერესო და საყურადღებო.

ეს მატჩიც, ტრადიციისამებრ, ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე, ისე, რომ მაყურებელს წუთითაც არ ჰქონდა საშუალება თვალი მოეცილებინა მინდორზე გაჩაღებული ბრძოლისთვის.

თბილისელებმა პირველივე წუთებზე აიღეს ტემპი, რომლის წინააღმდეგაც სტუმრები ვერაფერს გახდნენ. ვერაფერს გახდნენ იმ გაგებით, რომ გაშლილი, გეგმაზომიერი კომბინაციური თამაშის ნაცვლად იძულებული იყვნენ ნახევარდაცვის რგოლი უკან დაეწიათ მეტოქის განუწყვეტელი, სწრაფი იერიშების მოსაგერიებლად. მართალია, მათ განახორციელეს ცალკეული კონტრშეტევები, ერთობ სახიფათოც, მაგრამ საერთო ტერიტორიული უპირატესობა აშკარად მასპინძლებს ჰქონდათ. ეს ბანალური გამოთქმა — „ტერიტორიული უპირატესობა“ არ უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ ბურთი მეტწილად ერევნელთა ნახევარზე ტრიალებდა. დინამოელები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იერიშის წარმოებისას, მუდამ კარზე იყვნენ დამიზნებული და ცალკეული გარღვევებით თუ საერთო კომბინაციური ურთიერთმოქმედებით უშუალოდ გოლის გასატან შესაძლებლობას ეძებდნენ.

ეს თავდამსხმელთა დიდი დამსახურებაა. თბილისის „დინამოს“ ბოლო მატჩების სერიოზული წარუმატებლობანი, ჩვენი აზრით, უმთავრესად სწორედ გუნდის ამ რგოლის ერთობ ინერტული, სუსტი თამაშის შედეგი იყო. ახლა კი დინამოელთა ფორვარდებმა მთლიანად გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი. პირველი სიტყვა ყიფიანს ეკუთვნის, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩი და როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინაციური თამაშისას სრული დეზორგანიზაცია შეჰქონდა „არარატის“ მცველთა რიგებში. ასევე ძნელი დასაჭერი იყო მარჯვენა ფრთაზე გუცაევი და ფლანგებიდან წარმოებული ამ უკიდურესად ძნელი შეტევების მოგერიებისას ერევნელები იძულებული იყვნენ ცენტრიდან მიშველებოდნენ განაპირა მცველებს. აქ კი ახალი ხიფათი იქმნებოდა რეხვიაშვილის სახით, რომელიც განუწყვეტლივ იცვლიდა ადგილს ფრონტალურად და სხვადასხვა პოზიციას ეძებდა შეტევის დასამთავრებლად.

რახან თავდასხმამ ასეთი სიძლიერით ითამაშა, ვრცელ დიაპაზონზე მოქმედების საშუალება მიეცა ნახევარდაცვასაც. ცნობილია, რომ „არარატს“ ეს ხაზი ძალიან ძლიერი ჰყავს და სწორედ მისი მეოხებით აღწევს ჩვეულებრივ დიდ უპირატესობას მინდვრის შუაგულში. ამდენად, ძალიან რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ გავაშელი, მჭედლიშვილი და პეტრიაშვილი. ერთი მხრივ საჭირო იყო ანდრიასიანის, ბონდარენკოსა და ზანაზანიანის ნეიტრალიზება, მეორე მხრივ კი აქტიური მონაწილეობა საკუთარი გუნდის იერიშებში. ორივე ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა, თუმცა, ვიმეორებთ, ორივე ძალიან რთული იყო.

დაცვა. საერთოდ, დაცვის მიმართ ჩვენ უწინაც ნაკლებად გვქონდა პრეტენზიები და იგი ახლაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. ძოძუაშვილმა, ვფიქრობთ, წლეულს თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა ამ დღეს. ცენტრში შეთანხმებულად მოქმედებდნენ ჭელიძე და ებრალიძე, თანაც ამ უკანასკნელმა საიმედოდ ჩაკეტა „არარატის“ დისპეტჩერი მარქაროვი, რაც ესოდენ საჭირო იყო. დაცვის მარცხენა ფლანგზე დამაჯერებლად იბრძოლა ხინჩაგაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ერევნელებმა არაერთხელ სცადეს ამ ზონის დაძლევა, ამასთან ამ დავალებას მონაცვლეობით ასრულებდა სხვადასხვა მოთამაშე.

დაბოლოს, მეკარე. გოგიას ბევრ ძნელ სიტუაციაში მოუხდა ჩაბმა. იგი წინაც ხშირად გამოდიოდა, კარშიც უხდებოდა ძნელი ბურთების მოგერიება და შეცდომა არ დაუშვია.

ერევნელთა მხრივ ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ანდრიასიანმა, შეხვედრის დასასრულს კი კარგად ითამაშეს იშტოიანმა და ზანაზანიანმა.

მატჩი საინტერესო გამოდგა სანახაობრივადაც, სპორტული თვალსაზრისითაც. დინამოელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს პირველი ნახევარი, როცა მთლიანად ფლობდნენ ინიციატივას. შესვენების შემდეგ რამდენადმე იჩინა თავი ცალკეულ მოთამაშეთა დაღლილობამ, ენერგიის დიდმა ხარჯვამ, ამასთან, წაგებულის როლში მყოფმა ერევნელებმა მაქსიმალური ძალით იბრძოლეს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა გუცაევმა. მან მინდვრის სიღრმეში წამოწყებული ინდივიდუალური სწრაფი გარღვევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა კარის შორეულ კუთხეში, 69-ე წუთზე კი ფლანგიდან გადააწოდა ბურთი პეტრიაშვილს, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა ეს მომენტი — 2:0.

ერთადერთი საპასუხო გოლი „არარატმა“ გაიტანა 72-ე წუთზე იშტოიანისა და ანდრიასიანის სწრაფი კომბინაციის შემდეგ.

გვინდა რწმენა გამოვთქვათ, რომ მძიმე კრიზისის პერიოდი, რომელიც თბილისის „დინამოს“ ჰქონდა, განვლილია. მისი სარეაბილიტაციო მატჩი ერევნელებთან იმედის მომცემია და გუნდმა მომავალშიც ასეთი თავდადებით, მთელი ძალით უნდა იბრძოლოს, რათა ჩემპიონატში მისთვის შესაფერ მაღალ შედეგებს მიაღწიოს.

**გ. ქორქია.**

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: მეორე გოლი ერევნის „არარატის“ კარში. გ. პეტრიაშვილი ბრწყინვალე დარტყმით ამთავრებს თანაგუნდელთა კომბინაციას

მ. ზარგარიანის ფოტო.

## მატჩები, გოლები

1 აგვისტოს შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ ეს დღე ძალიან „უხვმოსავლიანი“ აღმოჩნდა: ოთხ მატჩში გატანილია 16 გოლი, ამასთან, 3 თამაში დამთავრდა ერთ-ერთი მხარის დიდი გამარჯვებით.

**„ზარია“ — „ნეფთჩი“ 5:0.**

ვოროშილოვგრადელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, რაც „ნეფთჩის“ კარში გატანილი 5 გოლით დამთავრდა (კუკსოვი, ელისეევი, ვასენინი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღო ბაქოელმა ალიზადემ.

**„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ 4:1.**

ამ მატჩში ანგარიში 22-ე წუთზე გახსნა სპარტაკელმა პაპაევმა, ხოლო მასპინძლებმა ტაიმის დასასრულს აღადგინეს თანაფარდობა (ვერემეევი) — 1:1. შესვენების შემდეგ კოლოტოვმა, ბლოხინმა და პუზაჩმა დამსახურებული გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს, რომელიც ამ დღეს ძალიან ძლიერად თამაშობდა. განსაკუთრებით ლამაზი იყო პუზაჩის მიერ ბოლო წუთზე გატანილი ბურთი.

**„ტორპედო“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:4.**

დინამოელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს ეს საპასუხისმგებლო მატჩი. მათ წარმატების მცირე შანსიც კი არ დაუტოვეს ტორპედოელებს, რომლებიც ბოლო დროს საბრძოლო ფორმაში არიან. გამარჯვებულთაგან ორი ბურთი გაიტანა ეშტრეკოვმა, თითო — იაკუბიკმა და საბომ.

დინამოელთა კარში გოლი გაიტანა დეგტიარიოვმა. საინტერესოა, რომ პირველ წრეში ზუსტად ასეთივე ანგარიშით გამარჯვება მოპოვებული ჰქონდათ ტორპედოელებს.

**„დნეპრი“—„კარპატი“ 0:0.**

მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, მაგრამ თავი გამოიჩინა „კარპატის“ მეკარე შვოინიცკიმ, რომელმაც გუნდი რამდენიმე აშკარა გოლს გადაარჩინა.

• • •

ჩემპიონატის სნაიპერთა შორის დაწინაურდა კიევის „დინამოს“ თავდამსხმელი ო. ბლოხინი, რომელმაც 9 ბურთი გაიტანა.

• • •

გუშინ გაიმართა პირველობის კიდევ ორი მატჩი.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 18 | 11 | 4 | 3 | 31—14 | 26 |
| ცსკა | 18 | 10 | 2 | 6 | 21—19 | 22 |
| „დინ.“ (თბ.) | 18 | 8 | 5 | 5 | 19—17 | 21 |
| „არარატი“ | 18 | 7 | 6 | 5 | 26—16 | 20 |
| „დინ.“ (კ.) | 18 | 7 | 6 | 5 | 28—22 | 20 |
| „დნეპრი“ | 18 | 6 | 8 | 4 | 22—20 | 20 |
| „დინ.“ (მ.) | 18 | 8 | 3 | 7 | 23—20 | 19 |
| „დინ.“ (მნ.) | 17 | 6 | 7 | 4 | 17—14 | 19 |
| „ზენიტი“ | 18 | 5 | 7 | 6 | 21—21 | 17 |
| „ტორპედო“ | 18 | 6 | 5 | 7 | 15—24 | 17 |
| „სპარტაკი“ | 17 | 6 | 4 | 7 | 21—18 | 16 |
| ასკ | 17 | 5 | 5 | 7 | 18—20 | 15 |
| „კარპატი“ | 18 | 5 | 5 | 8 | 14—21 | 15 |
| „ყაირათი“ | 17 | 2 | 9 | 6 | 9—16 | 13 |
| „ლოკომოტ.“ | 17 | 3 | 5 | 9 | 15—23 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 17 | 4 | 3 | 10 | 15—30 | 11 |

## „ოქროს თავთავის“ თასზე

### კასპი

კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა 15 საფეხბურთო კოლექტივი მონაწილეობდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თასის გათამაშებაში.

საპატიო პრიზი წილად ხვდათ კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებს, რომლებმაც ფინალში ანგარიშით 4:2 დაამარცხეს ქვემო ჭალის გუნდი. III ადგილზე არიან სამთავისის კოლმეურნეობის ფეხბურთელები.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

### ხაშური

„ოქროს თავთავის“ რაიონული გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოსიაურისა და ქვიშხეთის ფეხბურთელები.

ქვიშხეთელებმა საუცხოოდ ითამაშეს და ანგარიშით 7:0 დაამარცხეს მეტოქე.

**ს. ლომიძე.**

### ქობულეთი

საინტერესოდ მიმდინარეობდა სოფლის ფეხბურთელთა რაიონული თასის გათამაშება.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობისა და კვირიკეს კოლმეურნეობის გუნდებმა.

I ადგილი წილად ხვდათ ოჩხამურელებს, რომლებმაც მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 3:0.

**ლ. ტრაპაიძე.**

### აბაშა

რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა „ოქროს თავთავის“ პრიზის გათამაშება 12 გუნდს შორის.

წარმატებით იასპარეზეს ტყვირელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალური მატჩი მოუგეს ნაესაკოვოს გუნდს და დაეუფლნენ პრიზს.

**რ. ჭანტურია.**

### ხელვაჩაური

16 გუნდის მონაწილეობით სოფლის ფეხბურთელთა შეჯიბრება საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. თავი გამოიჩინეს სოფ. ახალშენის წარმომადგენლებმა, რომლებიც I ადგილზე გავიდნენ.

**ო. მურვანიძე.**

# თბილისის „დინამოს“ მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში — ჰოლანდიის „ტვენტე“ მებრძოლი გუნდია

ჰოლანდიის ჩემპიონატში ბოლო წლებში პირველობს ორი ძლიერი გუნდი — ამსტერდამის „აიაქსი“ და როტერდამის „ფეიენოორდი“. როგორც წესი, ბრძოლა I ადგილისთვის მათ შორის მიმდინარეობს ხოლმე. დანარჩენი გუნდები ამ ორ ფავორიტს თამაშის კლასით ჩამორჩებიან.

როტერდამის „სპარტა“, „ფსვ ეინდჰოვენი“, ჰააგის ადო, უტრეხტის დოს-ი, შეიძლება ითქვას, საშუალო კატეგორიას მიეკუთვნებიან და ტრადიციულად ლიდერთა შემდეგ ინაწილებენ ადგილებს. ამ გუნდებს არა ჰყავთ კრუიფი, სვარტი, მულდერი, კეიზერი, მულეინი და სხვა ვარსკვლავები, მაგრამ მათ რიგებში თამაშობენ საკმაოდ კარგი, ტექნიკური და, რაც მთავარია, სწრაფი, მებრძოლი ფეხბურთელები. ასეთ გუნდთა რიცხვს მიეკუთვნება ენსხედეს „ტვენტეც“, რომელმაც გასულ სეზონში თავის ისტორიაში უმაღლეს საფეხურს — III საპრიზო ადგილს მიაღწია და უეფა-ს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

„ტვენტემ“ სეზონი არც ისე დამაჯერებლად დაიწყო, მაგრამ უკვე X ტურისთვის ნათელი გახდა, რომ იგი ძალიან ბრძოლისუნარიანია. ხოლო შემდეგ, როცა XIII ტურში „ტვენტემ“ როტერდამში მოუგო „ფეიენოორდს“ (1:0), მიმომხილველებმა იგი სეზონის „აღმოჩენად“ აღიარეს. „ტვენტემ“ შემდგომ ტურებშიც დაამტკიცა, რომ მისი სახით ჰოლანდიის ფეხბურთს კიდევ ერთი მებრძოლი და საიმედო გუნდი შეემატა. 34 შეხვედრაში მან 17 გამარჯვება მოიპოვა, 14-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ 3-ჯერ დამარცხდა. მართალია, თავდამსხმელებმა მხოლოდ 50 გოლი გაიტანეს (ამ მხრივ „ტვენტეს“ ხუთმა გუნდმა გაუსწრო), სამაგიეროდ, დაცვამ და მეკარემ სულ 13 გოლი გაუშვეს და თავისებური რეკორდი დაამყარეს.

## საკუთარი ინფორმაცია

ვიმეორებთ, „ტვენტეს“ არა ჰყავს გამოჩენილი ვარსკვლავები. იგი გერმანიის საზღვართან მდებარე ქალაქ ენსხედეს 130 ათასი მცხოვრების სიამაყეა და ჰოლანდიის ამ მხარის — ტვენტეს სახელს ატარებს. სპორტული კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ენსხედელი ფეხბურთის მოყვარულები განსაკუთრებული თავდადებით ქომაგობენ თავის გუნდს.

### ჰოლანდიის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ (ამსტერდამი) | 34 | 104:20 | 63 |
| „ფეიენოორდი“ (როტერდამი) | 34 | 73:24 | 55 |
| „ფკ ტვენტე“ | 34 | 50:13 | 48 |
| „სპარტა“ (როტერდამი) | 34 | 73:38 | 46 |
| ადო (ჰააგა) | 34 | 59:33 | 44 |
| დოს (უტრეხტი) | 34 | 56:42 | 40 |
| „ნიმეგენი“ | 34 | 43:44 | 38 |
| „ფსვ ეინდჰოვენი“ | 34 | 47:32 | 36 |
| „გო ეჰედი“ (დევენტერი) | 34 | 48:49 | 34 |
| „მაასტრიხტი“ | 34 | 36:47 | 30 |
| „ტელსტარი“ (ველზენი) | 34 | 39:52 | 29 |
| „გრონინგენი“ | 34 | 37:55 | 28 |
| „ნაკ ბრედა“ | 34 | 39:58 | 27 |
| „დვს ამსტერდამი“ | 34 | 28:54 | 20 |
| „ექსცელსიორი“ (როტერდამი) | 34 | 18:53 | 20 |
| „დენ ბოსხი“ | 34 | 24:70 | 20 |
| „ვოლენდამი“ | 34 | 16:55 | 17 |
| „ვიტესი“ (არნჰემი) | 34 | 23:74 | 17 |

## ოლიმპიადა ისტორია

# ტრადიციების დაბადება

ოლიმპიური ალამი ხუთი სხვადასხვა ფერის ერთმანეთში გადაჭდობილი რგოლით პირველად პარიზში აფრიალდა. ეს მოხდა 1914 წლის ივნისში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. ხუთ ნაირფერ რგოლს მაშინ იმ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, რასაც ახლა. უბრალოდ, ხუთი ფერი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში



მყოფი ქვეყნების ეროვნული ალმების ფერთა გამოსახატავად. ყოველმა რგოლმა თავისი დანიშნულება უფრო მოგვიანებით, 1920 წელს ანტვერპენის VII ოლიმპიურ თამაშებში მიიღო. ლურჯი ფერი ევროპის გამომხატველი გახდა, ყვითელი — აზიისა, მწვანე — ავსტრალიისა, წითელი — ამერიკისა და შავი — აფრიკისა. ასე მოიყარა თავი თვით ოლიმპიურ ალამზე სამყაროს ხუთივე მატერიკმა.

ანტვერპენის ოლიმპიადამ საფუძველი ჩაუყარა კიდევ რამდენიმე ლამაზ ტრადიციას. სპორტსმენთა ოლიმპიური ფიცის სიტყვები პირველად „ბერშოოტ იპოდრომზე“ გაისმა, როგორც პატიოსანი, ყოველგვარი ანგარებისგან დაზღვეული, სპორტული ბრძოლის ჰიმნი. ანტვერპენის შემდეგ მოედო მსოფლიოს ოლიმპიური დევიზიც — citius, altius, fortius (სწრაფად, მაღლა, ძლიერად), რაც იმავე სიმბოლიკის გამომხატველი დევიზი იყო. 1920 წლამდე ოლიმპიურ ჩემპიონებს სპეციალური გარდამავალი პრიზებით აჯილდოებდნენ, მაგრამ, ვინაიდან მათი ტრანსპორტირება დღითი დღე ძნელდებოდა, სოკ-მა გააუქმა ისინი. პრიზების ერთი ნაწილი ამჟამად ლოზანის ოლიმპიურ მუზეუმში ინახება.

რატომ მაინცდამაინც ანტვერპენი აირჩიეს VII ოლიმპიადის ქალაქად, ანტვერპენი, რომელსაც ერთი კეთილმოწყობილი სტადიონიც კი არ გააჩნდა („ბერშოოტ იპოდრომი“, ფაქტიურად, სპორტული მოედანი იყო და სტადიონად სახელდახელოდ გადაკეთდა თამაშების წინ) და, რაც მთავარია, არავითარი სპორტული ტრადიციები არ ჰქონდა? საქმე ისაა, რომ სოკ-ის 1909 წლის გადაწყვეტილების თანახმად, სტოკჰოლმს ოლიმპიური ესტაფეტა ბერლინისთვის უნდა გადაეცა. მაგრამ გრიუნვალდის ახალთახალი სტადიონი ამაოდ ელოდა VI ოლიმპიადის მონაწილეებს: ევროპა პირველი მსოფლიო ომის ჭაობში იყო ჩაფლული და სპორტული შეჯიბრებებისთვის არავის ეცალა. ომმა ბრძოლის ველი სტადიონებიდან და დარბაზებიდან მშვიდობიან სოფლებში, ქალაქებსა და ქვეყნებში გადაიტანა. სისხლის ღვრის უმკაცრეს ლოგიკას მორჩილებაში ჰყავდა სამყარო, რომელიც ოთხი წლის მანძილზე უსიტყვოდ გზავნიდა ცოცხალ ხორცს სასაკლაოზე.

ოლიმპიადა ადამიანებს მაშინ გაახსენდათ, როცა მსოფლიო ხანძარი მიწყნარდა. მაგრამ ჭრილობების მოშუშებას დრო სჭირდებოდა. დრო გონს მოსასვლელადაც იყო საჭირო, მშვიდობიანი ცხოვრების ლიანდაგზე გადასასვლელად. ევროპის მსხვილი და ჯავლენიანი დედაქალაქები ის-ის იყო ფეხს იდგამდნენ ნანგრევებიდან და თამაშების ჩატარებაც, ცხადია, მეორეხარისხოვანმა ქალაქმა იკისრა, რომელიც ომის საშინელებებს მთელი ოთხი წლის მანძილზე შორიდან უყურებდა.



სტოკჰოლმის ოლიმპიადის შემდეგ სამყარო საფუძვლიანად შეიცვალა. აღმოსავლეთიდან მონაბერმა ახალმა სიომ ახლებურად გაანათა ისტორია. ამას, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ VII ოლიმპიადის ორგანიზატორები და პოპულარობის მოსახვეჭად ყბადაღებული ლოზუნგი წამოაყენეს სპორტის აპოლიტიკურობის შესახებ. ეს იყო ლიტონი სიტყვები, ოსტატურად შენიღბული დემაგოგია, რომელსაც არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ანტვერპენმა ოლიმპიური თამაშები ეპოქის პოლიტიკური მრწამსის დონემდე აიყვანა და გამორიცხა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისადმი სოლიდარობის ყოველგვარი ცდა. უფრო მეტიც, თამაშების ორგანიზატორებმა პოლიტიკური მოსაზრებებით ოლიმპიადის სარბიელზე არ დაუშვეს ანტანტის წინააღმდეგ მეომარი ქვეყნები — გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი და თურქეთი.

ოლიმპიადა ოფიციალურად 1920 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა (დაიხურა 29 აგვისტოს), მაგრამ შეჯიბრებები სპორტის ზოგიერთ სახეობაში გაცილებით ადრე დამთავრდა, ზოგში კი საზეიმო დახურვის შემდეგ. ანტვერპენში სულ 16 ოლიმპიური რეკორდი გაუმჯობესდა, უფრო ცოტა, ვიდრე სტოკჰოლმში. ცხრილებში ყველაზე მეტი შესწორება ტრადიციულად მძლეოსნებმა შეიტანეს (9 ოლიმპიური და 5 მსოფლიო რეკორდი). 5 ძველი რეკორდი დაემხო ცურვაში და 2 — სროლაში.

და მაინც, VII ოლიმპიადამ თავისი ისტორიული ვალი შეასრულა ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ საფუძველი ჩაუყარა ლეგენდას დიად ფინელზე. ფინელი სპორტსმენი მაშინ 23 წლისაც არ იყო, ჟან-ღონით სავსე, ანტვერპენში გამარჯვების სურვილით ჩასული. პაავო ნურმიმ პირველად ხმა აღიმაღლა 5 კილომეტრზე რბენაში. „მცირე“ სტაიერულ დისტანციაზე მას ძლიერი მეტოქე ჰყავდა ფრანგი ჟ. გილემოს სახით. ნურმი პირველივე მეტრებზე დაწინაურდა და თავის ძლიერებაში ღრმად დარწმუნებული ყურადღებას არც კი აქცევდა სპორტული ბრძოლის კანონებში კარგად ჩახედულ მეტოქეს. მაგრამ ფინიშამდე 800 მეტრით ადრე სასწაული მოხდა. ნურმის რომელიღაც მომენტში გამორჩა ფრანგის ენერგიული ფინიში და გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა გილემომ ტყვიასავით ჩაუქროლა. მდგომარეობის გამოსწორება, ცხადია, ძნელი იყო და ფინელიც შეეგუა აზრს წაგებულ ბრძოლაზე.

სამაგიეროდ, მეორე დისტანციაზე ნურმის ერთი წამით არ მოუცილებია თვალი ფრანგისთვის და 10-კილომეტრიანი დისტანცია ისე გაირბინა, თითქოს ისის იყო ბრძოლას იწყებდა. ანტვერპენში ლეგენდარულმა ფინელმა 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მიიღო. უკეთეს შედეგს ვერც ერთი ტიტულოვანი ფავორიტი ვერ ინატრებდა, ნურმი კი ამ პერიოდში ახალბედა, გამოუცდელ სტაიერად იყო მიჩნეული.

ანტვერპენში თავი გამოიჩინა ნორვეგიელმა მსროლელმა ო. ოლსენმაც. სხვათა შორის, ჟილდოების აბსოლუტური რეკორდი სწორედ მას ეკუთვნის და არა ნურმის. ოლსენმა სამშობლოში წაიღო 4 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი. ამ წარმატებისთვის იგი ჩემპიონთა ჩემპიონის სახელითაც კი მონათლეს, მაგრამ VII ოლიმპიადის ჭეშმარიტი გმირი მაინც ფინელი სტაიერია, რომელიც ანტვერპენში უზომო პოპულარობით სარგებლობდა. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ძლეოსნობა მაინც მძლეოსნობაა და „სპორტის დედოფლის“ ღირსეულ რაინდთა სახელი იმთავითვე ძვირად ფასობდა.





არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა ამერიკელებმა დაიბრუნეს (42 ოქროს, 28 ვერცხლისა და 26 ბრინჯაოს მედალი).

* * *

სურათებზე: „ბერშოოტ იპოდრომის“ სტადიონი, რომელზეც საზეიმოდ გაიხსნა VII ოლიმპიადა; 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ჩ. პედოკი; VII ოლიმპიადის ერთ-ერთი პლაკატი.

# ოლიმპიური სოფელი გაიხსნა

**მიუნხენი**, 2 აგვისტო. ოლიმპიური სოფელი პატარა საზეიმო ცერემონიით გაიხსნა. მან უკვე მიიღო პირველი სტუმრები — 60-მდე სპორტსმენი გდრ-იდან, უნგრეთიდან, მექსიკიდან, ავსტრალიიდან, აგრეთვე, მასპინძლების — დასავლეთგერმანელ ათლეტთა დიდი ჯგუფი. სოფლის ბურგომისტრმა ვ. ტრეგერმა, რომელიც პირველ სტუმრებსა და სოფლის გახსნაზე მოსულ ჟურნალისტებს მიესალმა, თქვა, რომ 18 აგვისტოსთვის აქ უკვე დაბინავებული იქნება XX ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა უმეტესობა.

ოლიმპიური სოფლის კომპლექსში გარდა საცხოვრებელი შენობებისა შედის სავაჭრო ცენტრი, კლუბი, კინოთეატრი და რესტორანი. ეს ყველაფერი ათი წუთის სავალზეა მთავარი ოლიმპიური ნაგებობიდან და ქალაქის რკინიგზის სადგურიდან.

თამაშების შემდეგ ოლიმპიური სოფელი, რომლის მოწყობაც 130 მილიონი დოლარი დაჯდა, მიუნხენის კიდევ ერთ ახალ რაიონად იქცევა.

# „ნეკერჩხლის ფოთლის“ დროშით

**ოტავა**, 2 აგვისტო. კანადის ჰოკეისტთა მწვრთნელმა ჰ. სინდენმა საბჭოთა სპორტსმენებთან მატჩებისთვის ნაკრებში შეიყვანა კიდევ ერთი თავდამსხმელი — სტენ მიკიტა, რომელიც „ჩიკაგო ბლეკ ჰოუქსში“ გამოდის. მის ანგარიშზეა 374 შაიბა და 617 საგოლე გადაცემა. ეს თავდამსხმელი პროფესიონალთა შორის ერთ-ერთი ყველაზე ჰკუმახვილი და ტექნიკური მოთამაშეა.

საქინფორმი

# ორი ფრანკი და ორი დიტერი ერთ ნავში

დრეზდენის სპორტკლუბ „აინჰაიტის“ შესასვლელ კარზე წარწერაა: „ელბაზე ნიჩბოსნობა შეუპოვრობისა და სისწრაფის საწინდარია“. ეს სენტენცია თავდაპირველად ისეთივე თავისთავად ჭეშმარიტებად მეჩვენა, როგორც ის ამბავი, რომ დრეზდენი ელბის ნაპირებზეა გაშენებული. მაგრამ „აინჰაიტის“ კლუბის ოთხი ნიჩბოსნის თავგადასავალი გვარწმუნებს, რომ საწყლოსნო სპორტი დრეზდენში მართლაც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა.

1964 წელს ფრანკ ფორბერგერი, ფრანკ რიულე, დიტერ გრანი და დიტერ შუბერტი ერთ აკადემიურ, უმესაჭო ოთხადგილიან ნავში ჩასხდნენ. 1966 წლიდან მოკიდებული, ისინი არც ერთხელ არ დამარცხებულან საერთაშორისო შეჯიბრებებში. აი, ამ სპორტსმენთა „გამარჯვების ტრასა“: 1966 წელი — მსოფლიო ჩემპიონატი, 1967 — ევროპის ჩემპიონატი, 1968 — ოლიმპიადა, 1970 — მსოფლიო ჩემპიონატი, 1971 — ევროპის ჩემპიონატი, 1972 — I ადგილები მოსკოვისა და გრიუნაუს რეგატებში (ამ სიაში გამოტოვებულია 1969 წელი, რომელზეც ცალკე გვექნება ლაპარაკი).

რაღა თქმა უნდა, ამ ოთხეულს მსოფლიოს სპორტული პრესა მუდამ ერთი ეპითეტით მოიხსენიებს: „დაუმარცხებელი“. აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარიელი თ. კელერი, რომელიც ჩვეულებრივ ძალიან ძუნწია ქათინაურების დარიგებაში, აცხადებს: „ეს საუკეთესო ოთხეულია ყველა იმ გუნდს შორის, რომლებიც მე ბოლო წლებში მინახავს“.

როგორ უყურებენ ამ დიდებას ისინი — ორი ფრანკი და ორი დიტერი? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ თვით სპორტსმენებზე, მათს ხასიათზე და ერთობლივ სპორტულ ცხოვრებაზე უნდა ვილაპარაკოთ.

ფრანკ ფორბერგერი, პირველი მენიჩბე, 29 წლისა. ხარატი. დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს. ნიჩბოსნობას 14 წელია ხელი მოჰკიდა.

ფრანკ რიულე. 28 წლისა. სპილენძზე ჭედურობის ოსტატი. სპორტში 11 წელია გამოდის.

დიტერ გრანი. 28 წლისა. ხარატი. 11 წელია სპორტულ სარბიელზე გამოდის. თავიდან ძიუდოში მეცადინეობდა, მერე კი რიულესთან ერთად სანიჩბოსნო კლუბს მიაკითხა.

დიტერ შუბერტი. 29 წლისა. მექანიკოს-ინსტრუმენტი. ნიჩბოსნობაში 12 წლის სტაჟი აქვს.

თუ გავიხსენებთ მათი ფიზიკური მონაცემების მსგავსებას (ფორბერგერი და გრანი ზუსტად ერთი სიმაღლისა და წონისა არიან — 190 სმ და 86 კგ) და იმასაც, რომ ფორბერგერი და რიულე ერთ დღეს, 5 მარტს არიან დაბადებული, გრანი — ასევე მარტში და შუბერტი აპრილში, ამ ოთხეულის დასახასიათებლად თავისთავად იბადება სიტყვა: „ჰარმონია“.

მე ამას ვეუბნები ფორბერგერს ინტერვიუს დროს გრიუნაუს ელინგის მახლობლად, სადაც მან და მისმა ამხანაგებმა ეს-ესაა ტრადიციული საერთაშორისო რეგატა მოიგეს.

— ჩვენ თავიდანვე შევეთვისეთ ერთმანეთს — ტექნიკითაც, ფიზიკური მონაცემებითაც და ხასიათითაც, — მეთანხმება ფრანკი. — რასაკვირველია, ყველაფერი ისე იოლად არ მომხდარა, როგორც შორიდან ჩანს. თუმცა, ამაზე ყველაზე უკეთ ჩვენი მწვრთნელი გეამბობთ. როგორც იტყვიან, მას ყველაზე მეტი მოხვდა...

— ჰარმონია, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ, რომ იცოდეთ, რა ძნელი მისაღწევი იყო, — ამბობს დრეზდენელთა ოთხეულის მწვრთნელი ჰანს ეკშტაინი. — ძნელი საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ ზოგჯერ ერთი ნაპერწკალი იყო საჭირო ნამდვილი აფეთქებისთვის. საერთოდ, ბევრი არ მირჩევდა ამ ბიჭებთან მუშაობას, ვინაიდან სულ ხუთი-ექვსი წლითა ვარ მათზე უფროსი. ჩემთვის პირველივე დღიდან ნათელი გახდა, რომ ტექნიკა არც ერთს არ ისწავლებოდა. ოთხივეს კარგი სკოლა ჰქონდა გავლილი, ოთხივემ იცოდა თავისი საქმე. მთავარი ის იყო, რომ ნავში თითოეულს თავისი ადგილი ეპოვნა. სწორედ ამისთვის ვატარებდით ექსპერიმენტებს, სანამ კარგ შედეგებს არ მივაღწიეთ. საქმეში ჩემი გამოცდილებაც დამეხმარა, ვინაიდან ერთ დროს მეც უმესაჭო ოთხადგილიანით გამოვდიოდი. როცა ორივე ფრანკი და ორივე დიტერი პირველობას იწყებდა, წინადადებას ვაძლევდი ნავიდან გადასულიყვნენ და მშვიდობიანად გაერკვიათ ყველაფერი. ეს თითქმის მუდამ კარგი გამოსავალი იყო...

— რომელი დღეები მიგაჩნიათ ყველაზე ძნელად მწვრთნელად მუშაობის მანძილზე?

— რასაკვირველია, მეხიკოს სტარტისწინა პერიოდი. ოლიმპიურ რეგატამდე რამდენიმე დღით ადრე რიულეს რადიკულიტი დაეწყო და ნავში ვეღარ ჯდებოდა. ჩვენი სათადარიგო წევრი თავს იკლავდა, მაგრამ დანარჩენებს რიტმში ვერ აჰყვა. ბიჭებმა ცხვირი ჩამოუშვეს და გადაწყვიტეს პირველივე თვითმფრინავით შინისკენ წამოსულიყვნენ. არ მკითხოთ, რა გზით ვაიძულე გუნდს წვრთნის გაგრძელება. ექიმიც ძალიან გვეხმარებოდა და რიულე სტარტზე გამოვიდა. შედეგად ოლიმპიური ოქრო მოვიპოვეთ.

— თქვენ ამბობთ, რომ მწვრთნელის სიტყვა თითქმის მუდამ სჭრიდა გუნდში კონფლიქტების დროს. თითქმის კი, მაგრამ მუდამ ასე იყო?

— დიდი საწვრთნელი დატვირთვის (ჩვენს ბიჭებს იმდენი კილომეტრი აქვთ ცურვით გავლილი, რამდენიმე ელბას ეყოფოდა სათავიდან შესართავამდე) და მძაფრი მეტოქეობის დროს ასეთი კონფლიქტები გარდუვალია. 1969 წელს ოთხეული დაიშალა, შუბერტი როსტოკის რვაადგილიანის ეკიპაჟში გადავიდა, ფორბერგერი და გრანი კი უმესაჭო ორადგილიანით გამოდიოდნენ. ამასთან, ვერცხლის მედალიც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატში. მერე მაინც მოვახერხეთ მათი თავმოყრა.

... გრძელი ნავი უკვე ავტომანქანაზე შევუდევით და ფორბერგერი ისევ ერთვება საუბარში.

— ჩვენ და მწვრთნელი სავარჯიშოდ უფრო მეტს სიძნელეებზე ვლაპარაკობთ, ვიდრე მოგებულ მედლებზე. ძალიან არ გვსიამოვნებს, როცა „სასწაულებრივ გუნდსა“ და „დაუმარცხებლებს“ გვეძახიან. სპორტში ასეთ სიტყვებთან ხუმრობა არვარგა. დამერწმუნეთ, თავს კი არ ვიწონებ, ისე გეუბნებით, რომ ყველა, თუნდაც უმნიშვნელო შეჯიბრების წინ ჩვენც გვაციებს შიშით. ჩვენი დამარცხება ყველას უნდა, განსაკუთრებით ახლა, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინ.

მე ფორბერგერს ვთხოვე ეამბნა, როგორ ინაწილებენ გუნდის წევრები „მოვალეობებს“ ტრასაზე.

— შუბერტი, რომელიც მოძრაობის მიმართულებით პირველი ზის, სხვა ნავებს ადევნებს თვალს და რბოლის მიმდინარეობაზე ცნობებს გვაწვდის, — ამბობს ფორბერგერი, — გრანი საშუალედო სპურტებისთვის გვაძლევს განკარგულებებს, რიულე მხარს მიბამს, როგორც მომსმელს, სისწრაფესა და რიტმში. მე, ბუნებრივია, ნავის წარმართვა მევალება. როცა ეს მოზაიკა საბოლოო სურათად ერთიანდება, წარმატებაც შორს აღარ არის.

გუნდი თავის მენიჩბეს ელის და ინტერვიუ უნდა დამთავრდეს.

გამოთხოვებისას ფორბერგერს ვუთხარი, რომ ახლა კი მესმის უესი დრეზდენის სპორტკლუბ „აინჰაიტის“ დევიზისა: „ნიჩბოსნობა ელბაზე შეუპოვრობისა და სისწრაფის საწინდარია“. იგი იღიმება:

— ეს ჩვენი საწყისი წერტილია. წინაა მორიგი — საშუალედო ფინიში — ოლიმპიადა.

ა. გრიგორიევი.
(საკდესის კორ.).

ბერლინი.

## მათი კურსი — ოლიმპიადა





რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 10176